ევროკავშირის ახალი სტრატეგია შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით

ლაშა ხოზრევანიძე
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
ელ. ფოსტა: lasha.khozrevanidze@bsu.edu.ge
ORCID: https://orcid.org/0009-0003-2936-5740

აბსტრაქტი. ნაშრომის მიზანია ევროკავშირის მიერ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ახალი სამოქმედო სტრატეგიის არსის კვლევა, რეგიონში შეცვლილი გეოპოლიტიკური გარემოს (განსაკუთრებით 2022 წლის რუსეთ-უკრაინის მოვლენების შემდეგ) და ძალთა ბალანსის ტრანსფორმაციის ფონზე. ნაშრომი ასევე იკვლევს ევროპის კავშირის მიერ უსაფრთხოების პოლიტიკის ინსტრუმენტების რევიზიას და სტრატეგიული ჩართულობის რეალურ პერსპექტივებს.

კვლევა აანალიზებს ევროკავშირის ახალი სტრატეგიის ძირითად მიმართულებებს შავი ზღვის რეგიონის მიმართულებით, მათ შორის საზღვაო ინფრასტრუქტურის განმტკიცების, კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის, ენერგეტიკული დივერსიფიკაციის ხელშეწყობის, ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის მექანიზმების განვითარებისა და პარტნიორი სახელმწიფოების ინსტიტუციური მდგრადობის მხარდაჭერის შესაძლებლობებს.

ნაშრომის მიზანია შეაფასოს ახალი სტრატეგიის ეფექტიანობა რეგიონული სტაბილურობის უზრუნველყოფის, შეკავების პოლიტიკის გაძლიერებისა და კოლექტიური უსაფრთხოების არქიტექტურის ფორმირების თვალსაზრისით.

კვლევა ეფუძნება ოფიციალური დოკუმენტების, სტრატეგიული კონცეფციებისა და ექსპერტული შეფასებების კრიტიკულ სინთეზს. კვლევის შედეგები წარმოაჩენს ევროკავშირის მზარდ ამბიციას, ჩამოყალიბდეს შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების სტრუქტურული არქიტექტურის შემოქმედის რანგში და განსაზღვროს მისი გრძელვადიანი გეოპოლიტიკური როლი. კვლევის შედეგები ასევე წარმოაჩენს ევროკავშირის სტრატეგიის მოსალოდნელ ხარვეზებს და სტრატეგიის არაეფექტიანობის შესაძლო მოსალოდნელ მიზეზებს.

კვლევა ეყრდნობა ისეთ მეთოდებს როგორიცაა დოკუმენტების შესწავლა და კონტენტ-ანალიზი. ასევე სამეცნიერო ლიტერატურის, ინტერნეტ-რესურსებისა და სხვადასხვა კვლევითი ცენტრებისა და სახელმწიფო უწყებების მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშებს.

საკვანძო სიტყვები: შავი ზღვის რეგიონი; ევროკავშირი; ევროკავშირის უსაფრთხოება; უსაფრთხოების პოლიტიკა; საზღვაო უსაფრთხოება; რუსეთ-უკრაინის ომი; ჰიბრიდული საფრთხეები;

* * *

შესავალი. შავი ზღვის რეგიონი ყოველთვის წარმოადგენდა ჰეგემონი სახელმწიფოების სტრატეგიული ბრძოლის ველს. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ე.წ. ,,ცივი ომის“ პერიოდში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რეგიონში გარკვეული პერიოდის განმავლობაში პოლიტიკური

სიმშვიდის პერიოდი ჩამოყალიბდა, რაც გამოწვეული იყო გეოპოლიტიკური ფოკუსის სხვა ცხელ წერტილებზე - ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ ჩინეთის ზღვარზე გადატანით.

ახლო წარსულში განხორციელებული გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე (იგულისხმება 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომი, 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის უკანონო ანექსია და რუსეთის მიერ 2022 წელს განხორციელებული ფართომასშტაბიანი შეჭრა) რეგიონი და მისი მნიშვნელობა ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურისთვის თანდათან კვლავ მოექცა ევროკავშირისა და შეერთებული შტატების პოლიტიკის შემქმნელთა დღის წესრიგში.

ბოლო წლების განმავლობაში ევროკავშირს, ნატოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ჩამოყალიბდა მზაობა იმაზე, რომ აუცილებელი საჭირობა გახდა შავი ზღვის რეგიონისთვის გრძელვადიანი ფუნდამენტური სტრატეგიის განახლება და მისი გადატვირთვა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ევროკავშირმა, რომელმაც არაერთხელ გამოთქვა სურვილი, უფრო აქტიური გეოპოლიტიკური აქტორი გახდეს, 2025 წლის 28-29 მაისს გამოაქვეყნა შავი ზღვის უსაფრთხოების ახალი სტრატეგია.

ევროკავშირის მიერ წარდგენილი შავი ზღვის ახალი სტრატეგიის მიზანს წარმოადგენს შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების, სტაბილურობისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა. ევროკომისიის ინფორმაციით, სტრატეგიის მთავარი მიზანი იქნება ევროკავშირის გეოპოლიტიკური როლის გაძლიერება რეგიონში, განსაკუთრებით რუსეთის უკრაინაზე თავდასხმის ფონზე.

ევროკომისიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ ევროკავშირი ახალი სტრატეგიის ფარგლებში გააძლიერებს თანამშრომლობას უკრაინასთან, მოლდოვის რესპუბლიკასთან, საქართველოსთან, თურქეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან. აღნიშნული სტრატეგიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ევროკავშირისა და მისი პარტნიორებისათვის პოლიტიკური სარგებელის მიღება, რაც დაეფუძნება ურთიერთსასარგებლო პარტნიორობას შავი ზღვის რეგიონში ზემოხსენებულ სახელმწიფოებსა და ევროკავშირს შორის.

შავი ზღვის რეგიონის კონკრეტული სტრატეგია ევროკომისიის ხელმძღვანელის, ურსულა ფონ დერ ლაიენის დაპირებაა, რომელიც მან 2024 წლის ბოლოს, ევროკომისიის პრეზიდენტად ხელახლა არჩევის შემდეგ დადო.

მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირმა პირველად მიიღო ისეთი ტიპის დოკუმენტი, რომელიც მთლიანად ფოკუსირებულია მხოლოდ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაზე და დოკუმენტში საუბარია ყველა იმ მნიშვნელოვან თემაზე, რომელიც ერთი მხვრივ გააძლიერებს რეგიონის წევრ ქვეყენებსა და ევროკავშირს შორის სტრატეგიულ პარტნიორობას, მეორე მხრივ უზრუნველყოფს თითოეული ქვეყნის განვითარების უზრუნველყოფას სხვადასხვა მიმართულებით, რომელიც მომგებიანი იქნება ევროკავშირისთვისაც, რომელსაც სურვილი აქვს რეგიონში გაზარდოს მისი ფუნქცია.

უკრაინაში რუსეთის ანექსიამ შავი ზღვის რეგიონი ტრანსატლანტიკური უსაფრთხოების მთავარი საზრუნავის ცენტრში მოაქცია. რუსეთის ომმა უკრაინის წინააღმდეგ შავი ზღვა უსაფრთხოების ცხელ წერტილად აქცია. ყირიმი გადაიქცა ძლიერ მილიტარიზებულ რუსულ საჰაერო და საზღვაო დარტყმების ოპერაციულ ბაზად, რაც პირდაპირ საფრთხეს უქმნის რეგიონის სხვა ქვეყნებსაც და არა მხოლოდ უკრაინას. რუსეთის მიერ უკრაინის ფაქტობრივი საზღვაო ბლოკადის ფონზე, შავი ზღვის დიდი ნაწილი უსაფრთხო ნავიგაციისთვის სახიფათო გახდა, რამაც სერიოზულად დააზარალა კომერციული გადაზიდვები და უკრაინული მარცვლეულის ექსპორტი. აღნიშნული მოცემულობა საფრთხეს უქმნის კომერციულ ნაოსნობას და იწვევს რეგიონის ეკონომიკის დესტაბილიზაციას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ყოველივეს საპასუხოდ ნატომ განალაგა საბრძოლო დანაყოფები ბულგარეთსა და რუმინეთში (ნატოს წევრი ქვეყნები ევროპის კონტინენტზე), გააქტიურა სამხედრო წვრთვნები და გაზარდა ნაღმების განაღმვის სასწავლო წვრთვნები და ოპერაციები, ეს ყველაფერი

ჯერ კიდევ არ არის საკმარისი იმისთვის რომ შავი ზღვის რეგიონი იყოს უსაფრთხოდ სამომავლოდ რუსეთის ახალი აგრესიის მიმართ (შონია, 2025).

უკრაინაში შეჭრით და 2022 წელს რუსეთის მიერ რიგი სახელმწიფოების (უკრაინა და მოლდოვა) გაზის მიწოდების შეწყვეტით, რუსეთმა უკვე აჩვენა მზადყოფნა სხვა ახალი რეგიონული დაპირისპირების შემთხვევაში შესაძლო სამიზნედ აქციოს შავი ზღვის აუზის ფსკერზე არსებული ნავთობისა და გაზის მნიშვნელოვანი სატრანზიტო ინფრასტრუქტურა, აუთვისებელი ენერგორესურსები, კრიტიკული მილსადენები და წყალქვეშა კაბელები (რეალპოლიტიკა, 2025). ასევე სავსებით შესაძლებელია რუსეთის მიერ ენერგეტიკული პროექტების ჩასაშლელად, გამოყენებულ იქნეს ჰიბრიდული ტაქტიკა, რომელიც გულისხმობს დეზინფორმაციის გზით ადგილობრივი წინააღმდეგობის წახალისებას (ევროპელი ოფიციალური პირები ახლო წარსულში ეჭვობდნენ, რომ რუსეთი ფარულად აფინანსებდა ენერგეტიკული ინვესტიციების წინააღმდეგ მიმართულ პროტესტებს აღმოსავლეთ ევროპაში).

ჰიბრიდულ საფრთხეებზე საუბრის პროცესში აუცილებლად უნდა ვახსენოთ რუსეთის მიერ გამოყენებული დეზინფორმაციისა და საარჩევნო პროცესებში ჩარევა შავი ზღვის რეგიონში მთავრობების დესტაბილიზაციისა და ევროკავშირისა და ნატოსადმი მოსახლეობის ნდობის შესარყევად. მაგალითად, მოლდოვასა და საქართველოში კრემლის მხარდამჭერი მედია და სოციალური პლატფორმების ინტერნეტ-ინფლუენსერები ავრცელებენ ნარატივს, რომ ევროკავშირში ინტეგრაცია საფრთხეს უქმნის ტრადიციულ ღირებულებებს. რუსული ჰიბრიდული შეტევები ასევე ფიქსირდება ნატოს წევრ ქვეყანებში რუმინეთსა და ბულგარეთში, სადაც ბოლო საპრეზიდენტო არჩევნების დროს, ულტრამემარჯვენე კანდიდატმა - კელინ ჯორჯესკუმ სოციალურ ქსელებში წარმოებული დეზინფორმაციული კამპანიით სწრაფად გაზარდა თავისი რეიტინგი მოსახლეობაში. ბულგარეთში კი ძველი პრორუსული ელიტები კორუფციისა და ოლიგარქიული გავლენების შედეგად კვლავ ძლიერ პოზიციებს ინარჩუნებენ.

აღსანიშნავია, რომ ენერგეტიკული, სატრანსპორტო და ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით ევროკომისიამ უკვე შეიტანა შავი ზღვის სატრანსპორტო დერეფანი ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელების გეგმებში, ხოლო 2023 წელს, აზერბაიჯანმა, საქართველომ, რუმინეთმა და ევროკავშირმა შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტზე - EU Global Gateway-ის ფლაგმანურ ინიციატივაზე, რომელიც მონაცემთა და ლოჯისტიკური კავშირების გაუმჯობესებას ითვალისწინებს.

შავი ზღვის რეგიონის სტაბილურობისა და უსაფრთხოებისათვის ევროკავშირის მიერ წარდგენილი ახალი სტრატეგიული დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიის მიზანს რეალური პოლიტიკური სარგებლის მიღება წარმოადგენს შავი ზღვის რეგიონის პარტნიორი ქვეყნებისა და ევროკავშირისთვის, რაც ურთიერთსარგებლიანი პარტნიორობის განმტკიცებითა და ინვესტიციების გაღრმავებით უნდა იქნეს მიღწეული.

ევროკავშირისა და შავი ზღვის რეგიონის მომავალი თანამშრომლობა სამ სვეტს მოიცავს:

1. უსაფრთხოების, სტაბილურობის და მდგრადი განვითარების გაძლიერება;
2. ეკონომიკური ზრდისა და კეთილდღეობის ხელშეწყობა;
3. გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილებისთვის მზაობის ხელშეწყობა და საერთო პოლიტიკის შემუშავება.

სტრატეგიული დოკუმენტის მიხედვით, ევროკავშირი რეგიონულ პარტნიორებთან ერთად, თითოეულ სვეტში განახორციელებს 3 ძირითად ინიციატივას, რითიც დაეხმარება რეგიონს უსაფრთხოების გამოწვევებს მაქსიმალური მზადყოფნით უპასუხოს (European Union, 2025).

თანამშრომლობის სვეტებში გაჟღერებული ინიციატივები, დოკუმენტის მიხედვით პრაქტიკულ გამოყენებას ჰპოვებს შემდეგი მიმართულებებით:

- ინიციატივა შავი ზღვის საზღვაო უსაფრთხოებისა და შესაბამისი ინოვაციური ჰაბის შექმნა - რომლის მიზანი იქნება ინფორმაციის გაზიარების ცენტრალიზება, ნაღმების გაუვნებელყოფის მხარდაჭერა, საზღვაო ნავიგაციის მონიტორინგი და კრიტიკული წყალქვეშა ინფრასტრუქტურის დაცვა. ეს პირდაპირ პასუხობს საზღვაო უსაფრთხოების ეფექტიანობის გაზრდას, რომელიც მაქსიმალურ მონიტორინგს გაუწევს შავი ზღვის რეგიონში სანქციების გვერდის ავლით ე. წ. ,,ჩრდილოვანი ფლოტის" არსებობას და სანქცირებული ტვირთების გატარებას;
- სპეციალური კავშირისა და კომუნიკაციის დღის წესრიგის და პროტოკოლის შემუშავება - სატრანსპორტო, ენერგეტიკული და ციფრული ქსელების განვითარება, რათა მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული შავი ზღვის რეგიონის პოტენციალი, როგორც სასიცოცხლო დერეფანი, რომელიც სამხრეთ კავკასიის მეშვეობით ორ კონტინენტს ევროპას და ცენტრალურ აზიას ერთმანეთთან აკავშირებს;
- შავი ზღვის სანაპიროების საზოგადოებებისა და ე. წ. ლურჯი ეკონომიკის სექტორების მზადყოფნის გაძლიერება - შავი ზღვის ქვეყნებს დაეხმარება ომთან დაკავშირებული ეკოლოგიური ზიანის აღმოფხვრაში, ასევე კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ რისკებზე სწრაფ და ეფექტიან რეაგირებაში.

აღნიშნული სტრატეგია ევროკავშირის მოსაზრებით გააერთიანებს ყველა შესაბამის ინსტრუმენტსა და პოლიტიკას, მობილიზებას გაუწევს ინვესტიციებს. ყოველივე ზემოაღნიშნული, ევროკავშირის მოსაზრებით მიმართულია და მიზნად ისახავს შავი ზღვის რეგიონში გრძელვადიანი უსაფრთხოების ხელშეწყობას.

შავი ზღვა, თავისი უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობით, რომელიც ევროპას, სამხრეთ კავკასიას, ცენტრალურ აზიასა და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვას აკავშირებს, შეიძლება გადაიქცეს სტაბილურობის, მდგრადი განვითარებისა და საზღვაო კომუნიკაციის მთავარ კვანძად პარტნიორობის საერთო ინტერესებზე დაყრდნობით.

კვლევის მეთოდოლოგია. კვლევა ეფუძნება ხარისხობრივი (qualitative) კვლევის დიზაინს, რომელიც აერთიანებს დოკუმენტების ანალიზს, დისკურსის ანალიზსა და კონტენტ-ანალიზის მეთოდებს. კვლევის ძირითად წყაროს წარმოადგენს ევროპის კავშირის ოფიციალური დოკუმენტები, სტრატეგიული განცხადებები, პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტები და ინსტიტუციური ანგარიშები, რომლებშიც გაანალიზებულია პირველადი წყაროების პრინციპის საფუძველზე. კვლევის ფარგლებში გამოყენებულია მიზნობრივი შერჩევის მეთოდი (Purposive Sampling), რომლის მიხედვითაც შეირჩა ბეჭდური და ონლაინ-მედია პუბლიკაციები, ანალიტიკური სტატიები და კვლევითი ცენტრების ანგარიშები. წყაროების შერჩევის კრიტერიუმად განისაზღვრა მათი ინსტიტუციური სანდოობა, აკადემიური და ექსპერტული ავტორიტეტი, ქრონოლოგიური აქტუალობა და თემატური რელევანტურობა. ასევე, კვლევის პროცესში გამოყენებულია კომპარატიული მიდგომა, რომელმაც მოგვცა შესაძლებლობა შევაფასოთ ევროკავშირის პოლიტიკის ევოლუცია და სტრატეგიული ცვლილებები რეგიონული უსაფრთოების კონტექსტში.

დისკუსია. შავი ზღვის რეგიონის დღევანდელი ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურაში ერთ-ერთ ყველაზე სტრატეგიულად სადავო სივრცედ იქცა. მისი მნიშვნელობა მკვეთრად გაიზარდა რუსეთის მიერ უკრაინაზე სრულმასშტაბიანი თავდასხმის შემდეგ, რომელმაც საზღვაო ინფრასტრუქტურა, რეგიონული სტაბილურობა და სტრატეგიული კომუნიკაცია გადაუდებელი უსაფრთხოების პრიორიტეტებად აქცია. დისკუსია გრძელდება იმაზე, თუ როგორ შეიძლება რეგიონის უსაფრთხოების გაძლიერება რუსეთის აგრესიის გაგრძელების პირობებში და ასევე იმაზე თუ რა შეიძლება გაკეთდეს რეგიონული უსაფრთხოებისთვის უფრო შორეული ომის შემდგომ პერიოდში (Carnegie Endowment, 2025). შავი ზღვის უსაფრთხოების ვითარებაზე გავლენის მოხდენის ინტერესი და

პოტენციალი რამდენიმე აქტორს აქვს, ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენს კი ევროკავშირი წარმოადგენს.

ევროკავშირის პასუხი რეგიონის წინაშე არსებული უსაფრთხოების გამოწვევებზე დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც 2025 წლის მაისში მიიღეს ახალი სტრატეგიული მიდგომა. ფორმალურად მისი მიზანი შავი ზღვის რეგიონის სტაბილურობის, მდგრადობისა და თანამშრომლობის სივრცედ გარდაქმნა იყო. დოკუმენტი უფრო ამბიციურ ხედვას აყალიბებს, ვიდრე წინა ჩარჩოები, თუმცა მისი საბოლოო წარმატება დამოკიდებული იქნება იმ მნიშვნელოვანი დაბრკოლებების დაძლევაზე, რომლებიც რეგიონული არასტაბილურობითა და პოლიტიკური სირთულეებით არის განპირობებული. სტრატეგიის მიღებიდან რამდენიმე თვე გავიდა, რაც მისი წარმატების პერსპექტივებზე გარკვეული პირველადი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა (Austrian Institute for International Politics (2025).

როგორც აღვნიშნეთ, სტრატეგია სამ სვეტად არის სტრუქტურირებული, რომელშიც მნიშვნელოვანი კონცეპტუალური ცვლილება და ინოვაციური ელემენტია წარმოდგენილი - შავი ზღვის საზღვაო უსაფრთხოების ჰაბის შექმნის თვალსაზრისით, რომელიც სამომავლოდ ითვალისწინებს სტრატეგიულ პარტნიორებს შორის ოპერატიული ინფორმაციების გაცვლის ცენტრალიზებას საზღვაო უსაფრთხოების სფეროში. ევროკავშირი ამ ინიციატივით იმედოვნებს, რომ რეგიონში რუსეთის ქმედებების წინააღმდეგ საბრძოლველად და კრიტიკული საზღვაო ინფრასტრუქტურის დასაცავად პოსტ უკრაინა-რუსეთის ომის შემდგომ პერიოდში ,,შავი ზღვის საზღვაო უსაფრთხოების ცენტრის“ შექმნას შეძლებს. ასევე ენერგოუსაფრთხოების კუთხით არსებული გამოწვევების საპასუხოდ ევროკავშირი ახალი სტრატეგიით აცხადებს, რომ შავი ზღვა შეიძლება იქცეს სტაბილურობის, მდგრადი განვითარების გარანტად და სწორედ ამიტომ გამოდის ინიციატივით შეიქმნას ,,შავი ზღვის საზღვაო უსაფრთხოების ჰაბი“, რომელიც გააძლიერებს რეგიონის საზღვაო უსაფრთხოებას, დაიცავს კრიტიკულ ინფრასტრუქტურასა და საზღვაო გარემოს. ეს ადასტურებს, რომ ევროკავშირი სრულად აცნობიერებს რეგიონის სტრატეგიულ მნიშვნელობას, თუმცა უსაფრთხოების ჰაბის შექმნის ოპერატიული დეტალები ამ ეტაპზე ბუნდოვანია. აღნიშნული მიმართულებით დარგის ექსპერტებს შორის აქტიურად მიდის დისკუსია იმასთან დაკავშირებით, თუ სად უნდა განთავსდეს ზემოხსენებული შავი ზღვის საზღვაო უსაფრთხოების ჰაბის ცენტრი ან რომელი ქვეყნები შევლენ მასში და ვინ უხელმძღვანელებს ოპერატიული ინფორმაციების გაცვლის კოორდინირებას (Anghel, 2025). აღნიშნულ კითხვებზე ევროკავშირის მიერ გამოცხადებული სტრატეგიული დოკუმენტი პასუხებს ამ ეტაპზე არ იძლევა, რაც უფრო ბუნდოვანს ხდის საზღვაო უსაფრთხოების ჰაბის არათუ შექმნის, არამედ მის პრაქტიკულ წარმატებას.

ევროკავშირი ასევე აცხადებს, რომ შავი ზღვის სტრატეგიას განახორციელებს ,,გაფართოების პროცესთან და აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკასთან სინერგიაში“. ეს შეიძლება ეფექტიანი იყოს მოლდოვასა და უკრაინასთან მუშაობისას, თუმცა ნაკლებად მოქნილი აღმოჩნდეს თურქეთის შემთხვევაში, რომლის როლი შავ ზღვაში განსაკუთრებულ, მორგებულ მიდგომას მოითხოვს (ევროკავშირის წარმოამდგენლობა საქართველოში, 2025).

სტარტეგიულ დოკუმენტში თურქეთის როლთან და ჩართულობასთან დაკავშირებით დისკუსიას აღრმავებს ის ფაქტიც, რომ შავი ზღვის რეგიონში სამხედროების განთავსებით და იქ უსაფრთხოების გარანტიების შექმნაზე პასუხისმგებლობის აღების დიდი ხანია ინიციატივით გამოდიან დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი, თუმცა ცალკეული მედია-საშუალებების ინფორმაციით (იოზვიაკი, 2025) თურქეთმა უკვე განაცხადა რომ მას სურს უხელმძღვანელოს ასეთი ძალების საზღვაო კომპონენტს (ფლოტილიას). კერძოდ, სამხედრო ძალებს რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან შავ ზღვაში უსაფრთხო გადაადგილებსა და პოტენციური ნაღმების გაწმენდით. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი პირდაპირ არ მოიხსენიებს უკრაინაში ძალების განთავსებას, ის ხაზს უსვამს ანკარას-

თან თანამშრომლობის გაძლიერებას შავ ზღვაში და მის გარშემო მშვიდობის უზრუნველყოფის აუცილებლობას. თურქეთთან დაკავშირებით დოკუმენტში ნათქვამია, რომ ,,თურქეთს შეუძლია კონსტრუქციული როლი შეასრულოს რუსეთის ჩრდილოვანი ფლოტის წინააღმდეგ ბრძოლაში და წვლილი შეიტანოს საზღვაო უსაფრთხოების, ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და კავშირების გაძლიერების მცდელობებში საერთაშორისო სამართლისა და სხვა კონვენციების შესაბამისად“ (EU strategic approach to the Black Sea region, 2025). სტრატეგიული დოკუმენტის პრაქტიკაში წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, შესაძლოა სწორედ ეს დოკუმენტი გახდეს საწინდარი თურქეთ-ევროკავშირს შორის ურთიერთობების ახალი ეტაპის დაწყების და ურთიერთობების გადატვირთვის.

დასკვნა და შედეგები. ევროკავშირის მიერ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების ახალი სტრატეგიის გამოქვეყნებიდან თითქმის ერთი წელი გავიდა, რაც მისი წარმატების პერსპექტივებზე და სავარაუდო პროდუქტიულობაზე გარკვეული პირველადი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლება.

უახლეს პოლიტიკურ ისტორიაში არაერთხელ გვინახავს მსგავსი დოკუმენტი, რომლებიც საბოლოო ჯამში თაროზე შემოიდო. ამ შემთხვევაშიც, მთავარი კითხვა და გამოწვევა ამ სტრატეგიაში მდგომარეობს იმაში, თუ რამდენად ეფექტურად შეძლებს ევროკავშირი მის განხორციელებას, რამდენად იქნება პოლიტიკური ნება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ამ მნიშვნელოვანი ინიციატივების განსახორციელებლად და რამდენად მზად იქნებიან შავი ზღვის რეგიონის, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები ყველა იმ სიკეთის ასათვისებლად და კონკრეტული სამოქმედო ნაბიჯების გადასადგმელად, რაც სტრატეგიაშია ასახული (Sabanadze & Dalay, 2025).

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ახალი სტრატეგიული მიდგომა შავი ზღვის მიმართ დროული, ყოვლისმომცველი და გეოპოლიტიკურად გააზრებულია, ვიდრე წინა ჩარჩო-დოკუმენტები, დარგის ექსპერტებისთვის და სფეროს ანალიტიკოსებისთვის გარკვეულ ბუნდოვან წარმოდგენებს ქმნის სტრატეგიის რეალისტური აღქმისა და პროდუქტიულობის თვალსაზრისით.

პირველი - უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტი ოფიციალურად წარმოადგენს ,,სტრატეგიულ მიდგომას“ და არა სრულფასოვან ,,სტრატეგიას“. ეს ყველაფერი მიუთითებს მიზნობრივი დაფინანსების არარსებობას, ასევე სავალდებულო პარტნიორული ვალდებულებების არ ქონას და დეტალური სამოქმედო გეგმის არარსებობას, რომელსაც დროებით ჩარჩო დოკუმენტში მინიმალური ადგილი უნდა დათმობოდა და სამომავლო სამოქმედო გეგმისთვის საფუძველი შექმნილიყო.

მეორე - ევროკავშირის საზღვაო უსაფრთხოების ჰაბის შექმნის ინიციატივა და მისი ოპერატიული რაციონალიზაცია (ოპერაციონალიზაცია) მოითხოვს უპრეცედენტო თანამშრომლობას განსხვავებული პოლიტიკური პრიორიტეტების მქონე და ერთმანეთის მიმართ ნდობის სხვადასხვა ხარისხის მქონე სახელმწიფოებს შორის. ღრმა რეგიონული დაძაბულობები, განსაკუთრებით რუსეთთან დაკავშირებული, ხელს შეუშლის პარტნიორი სახელმწიფოების სპეციალური სამსახურის მიერ სადაზვერვო ინფორმაციების გაზიარებასა და კოორდინირებული საზღვაო ოპერაციების ჩატარების შესაძლებლობებს.

მესამე - სტრატეგია უმეტესად ეყრდნობა პარტნიორი ქვეყნების პროგრესს ევროკავშირთან ურთიერთობების თვალსაზრისით, რომელიც პარტნიორი ქვეყნებისგან თანაბრად მოითხოვს დემოკრატიული რეფორმების გატარებას, კორუფციასთან ბრძოლას და დემოკრატიული კონსოლიდაციისკენ შეუქცევად სვლას. ზემოაღნიშნული მიმართულებით, რომელიმე პარტნიორი წევრი სახელმწიფოს შიდა პოლიტიკური სახელისუფლებო კრიზისისა თუ ევროკავშირთან გარკვეული პერიოდული პოლიტიკური დისბალანსის შემთხვევაში, ერთიანი სტრატეგიული დოკუმენტის

ზოგადი მიზანი საზღვაო უსაფრთხოების ნაწილში თანამშრომლობის კუთხით ნაკლებად საიმედო ხდება რიგი პარტნიორები ქვეყნების მხრიდან.

მეოთხე - რუსეთის ფედერაციის ჰიბრიდული ოპერაციები, ნაღმების განთავსება, საზღვაო კონვენციების დარღვევა სანქცირებული გემების ნაოსნობით, კიბერშეტევები და დეზინფორმაციული კამპანიები პირდაპირ გამოწვევას უქმნის ევროკავშირის ინიციატივების განხორციელებას და შესაძლოა დაასუსტოს რეგიონალური ნდობა არა მხოლოდ ზოგადად ევროკავშირის ინსტიტუტის მიმართ, არამედ სამომავლოდ მისი ინიციატივით დაანონსებული თანამშრომლობის ახალი სხვა საკითხების მიმართაც.

მეხუთე - დოკუმენტში ადამიანის უფლებები ნახსენები არ არის. ის მხოლოდ სამ სფეროზეა ორიენტირებული: ,,უსაფრთხოების გაძლიერება, ზრდისა და კეთილდღეობის ხელშეწყობა და გარემოს დაცვის ხელშეწყობა, კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადობა და მზადყოფნა“.

მეექვსე - ევროკავშირი უსაფრთხოების საკითხებში თურქეთთან თანამშრომლობისკენ არის მიდრეკილი, მაგრამ ნაკლებ ინტერესს იჩენს ეკონომიკური კავშირების გაღრმავების მიმართ, რაც გარკვეულ დისბალანს ქმნის თურქეთთან ურთიერთობაში. როგორც ჩანს, ევროკავშირი ცენტრალურ აზიასთან დაკავშირებას შავი ზღვის გავლით ანიჭებს უპირატესობას, ვიდრე სახმელეთო გზით თურქეთის გავლით.

მეშვიდე - მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი ადრე გამოთქვამდა გარკვეულ კრიტიკას რეგიონულ პარტნიორებთან აზერბაიჯანთან და თურქეთთან, კერძოდ, აღნიშნავდა სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების არარსებობას და ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების სივრცის შემცირებას, ამჟამინდელ სტრატეგიაში აზერბაიჯანი მოხსენიებულია როგორც ენერგეტიკული თანამშრომლობისა და კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის თავლსაზრისით. აზერბაიჯანთან თანამშრომლობა პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლება ევროკავშირისთვის, ვინაიდან აზერბაიჯანის როლი მნიშვნელოვანია რუსული ენერგიის დარჩენილი იმპორტის შეწყვეტისათვის და ენერგიის დივერსიფიკაციის პროცესის დაჩქარებისთვის.

მერვე - ევროკავშირის ახალ სტრატეგიაში ომთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი ზიანის, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების და მდგრადი ზრდის შესაძლებლობების ხაზგასმა შესაძლოა ტონალურად შეუფერებლად აღიქმებოდეს შავი ზღვის ქვეყნების პოლიტიკოსებისა და მოქალაქეების მიერ, რომლებიც ბოლო წლებში ომს, ლტოლვილთა ნაკადს, ენერგეტიკულ კრიზისებს, ეკონომიკურ სირთულეებსა და რუსეთის ჩარევას ებრძვიან არჩევნებსა და სხვა ჰიბრიდულ ქმედებებში.

ბიბლიოგრაფია

EU strategic approach to the Black Sea region; https://www.eeas.europa.eu/eeas/eu-strategic-approach-black-sea-region_en

შონია, მ. (2025, May 28). *ევროკავშირი შავი ზღვის უსაფრთხოების ახალ სტრატეგიას ამტკიცებს*. Netgazeti.ge. https://netgazeti.ge/news/775449/;

Directorate-General for Enlargement and Eastern Neighbourhood. (2025, May 28). The European Union's strategic approach to the Black Sea region (Joint Communication). European Union; https://enlargement.ec.europa.eu/joint-communication-european-parliament-and-council-european-unions-strategic-approach-black-sea_en;

EU შავი ზღვის რეგიონის სტაბილურობისა და უსაფრთხოებისთვის ახალ სტრატეგიას წარადგენს. (2025, May 28). Realpolitika.ge. https://realpolitika.ge/ge/akhali-ambebi/eu-shavi-zghvis-regionis-stabilurobisa-da-usafrtkhoebistis-akhal-strategias-tsaradgens/;

ევროკავშირის ახალი სტრატეგია შავი ზღვის რეგიონისთვის. (2025, May 29). ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში. https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia

იოზვიაკი, რ. (2025, May 28). ევროკავშირი შავ ზღვაში ახალი ცენტრის შექმნას განიხილავს რუსეთისგან მომავალ საფრთხეებთან საბრძოლველად. რადიო თავისუფლება. https://www.radiotavisupleba.ge/a/33427761;

Anghel, S. E. (2025). EU strategic approach to the Black Sea region. European Parliament Think Tank. https://epthinktank.eu/2025/05/26/eu-strategic-approach-to-the-black-sea-region;

Austrian Institute for International Politics. (2025). Building connectivity, managing risk: The EU's geopolitical role in the Black Sea. OIIP Policy Paper; https://www.oiip.ac.at/en/publications/building-connectivity-managing-risk-the-eus-geopolitical-role-in-the-black-sea;

Carnegie Endowment for International Peace. (2025). European democracy support annual review 2025. Carnegie Endowment for International Peace. https://carnegieendowment.org/russia-eurasia/research/2026/02/european-democracy-support-annual-review;

Sabanadze, N., & Dalay, G. (2025). Understanding Russia's Black Sea strategy: How to strengthen Europe and NATO's approach to the region. Chatham House Research Paper; https://www.chathamhouse.org/sites/default/files/2025-07/2025-07-28-russias-black-sea-strategy-sabanadze-dalay;